ოქმი:ო31. 3126236001
თარიღი:24/08/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N11

ქ. ლანჩხუთი

21. 08. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და მაია ლომთაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმარი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადებისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის

24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 ივლისის N37 განკარგულების თანხმობის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 13 აგვისტოს ბ30.30262225001 ბრძანებით დაფუძვნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“. რომლის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 25650 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევ ხარჯებზე 62350 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს მერიის შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსების 105000 (ას ხუთი ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 44 (21.08.2026).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21 აგვისტო 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 40	
2	ვერიკო კვირკველია	11.56	
3	მაია ლომთაძე	11 57	
4	გიორგი ჩახვაძე	11 40	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 40	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	მივლინებაში	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 45	
10	ია მოქია	11:55	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 53	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 50	
13	ვლადიმერ ნანაძე		
14	კარლო წილოსანი	შვებულებაში	
15	ნინო მშვიდობაძე	11 56	
16	ივანე ებრალიძე	11 45	
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11–53	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:20	
20	გოგი მორჩილაძე		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	ირაკლი ტოროტაძე	11.55	

24	ტატო ურუშაძე	11:50	
25	გელა პატეიშვილი	11:45	
26	თენგიზ ურუშაძე	11:55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	8.53	
29	სამსონ კვაჭაძე	11:55	
30	გოჩა ჯანაშია		
31	თორნიკე მითაიშვილი	11:45	
32	ჯუმბერ ბლაგიძე		